შაბათი 1919 წ. მაისის 3 № 94
ყოველდღიური გაზეთი

შაბათი 1919 წ. მაისის 3 № 94
ფ ა ს ი 1 მან. და 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.**
**დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.**

---

დამწუხრებული მამა მიხეილ, დედა პელაგია, ძმა ვასილია, დები ნადეჟდა და მარიამი. რძალი სოფიო შვილებითურთ და სიძე კონსტანტინე ბარათაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**პეტრე მიხეილის ძე**
## ზაალიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე. გერმანელების საავადმყოფოში (დიდი მთავრის ქუჩა) საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ამავე საავადმყოფოდან კვირას, 4 მაისს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.
2—2344—1

---

სენაკის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო უაღრესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა ნაცნობებს და ნამოწაფართ საყვარელ თანამოსამსახურის, გიმნაზიის ყოფილ მასწავლებლის

**ნიკოლოზ ლაზარეს ძე**
## თუთბერიძის

გარდაცვალებას.
(1—ფ.—1)

---

ჟურნალისტების პროფესიონალურ კავშირის გამგეობა მწუხარებით იუწყება რომ 1 მაისს გათენებისას გარდაიცვალა

**გიორგი მიხეილის ძე პავლოვი.**

გვამის გადმოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან ქვაშვეთის ეკლესიაში შაბათს, 3 მაისს, საღ. 5 ს. სადაც დანიშნულია პანაშვიდი. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. კვირას. დღის 12 ს.
(2—59—1)

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ანა სტეფანეს ასული ოცხელისა დები სოფიო ივანეს ასული პოლოლიკაშვილისა და ნინო ივანეს ასული საკაშვილისა, ძმები სიმონ, დავით და კონსტანტინე ივანეს ძენი ოცხელნი, რძალი ლუკრეცია ანტონის ასული ოცხელისა და სიძე პეტრე ზაქარიას ძე საკაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 6 მაისს (ახ. სტილით) დილის 10 საათზე ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარის

**როსებ ივანეს ძის ოცხელის**

სულის მოსახსენებლად.
(2—2347—1)

---

## სახელმწიფო თეატრი
**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 3 მაისს წარმოდგენილი იქნება

## თაისი

4 მაისს დილით „ჯამბაზები“ საღამოთი „აფრიკანკა“.

---

## რესტორანი
## ედემი
(ვერაზედ)

**იყიდება თავის ვეჯეულობით**

შეიძლება იჯარითაც გაიცეს. პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: ოლღის ქუჩა № 81, 3—6 საათამდე.
2 2346—1

---

## ამიერ-კავკასიის
## კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო

ამით აუწყებს ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა კოოპერატივებს (როგორც მომხმარებელთა, აგრეთვე საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს, რომ

22 მაისს, ქ. თბილისში შესდგება კოოპერატიული ყრილობა

**საქართველოს კოოპერატივებისა**

და 25 მაისს, ქ. თბილისშივე შესდგება

## ამიერ-კავკასიის

(საქართველოს, აძერბეიჯანის და სომხეთის) კოოპერატიული ყრილობა. ყრილობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, (მიხეილის პრ.) № 178 ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივების ყრილობათა საბჭო.
3—53—3

---

## ახლად მოწყობილი სტამბა
## „ხელოვნება“

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტად დაკლებულ ფასებში.

**საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს**

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—4)

---

კვირას, 4 მაისს, დილის თერთმეტ საათზე სახაიე „ძმურ ნუგეშში“ დანიშნულია თბილისის

## ქართველ ქალთა
საზოგადოების კრება

საგანი კრებისა: 1. განხილვა და დამტკიცება წარსულ წელთა ანგარიშებისა; 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
2—2

---

## იყიდება ქაღალდი

ბითუმად და ნაწილობით გამოსადეგი შესახვევათ და პარკებათ პირობების გაგება 11 უბანი ანიევის ქუჩა № 3, ხატიშვილთან.
5—2345—1

---

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა აუწყებს პატივცემულ წევრთ აღნიშნულ საზოგადოებისას, რომ ამა წლის მაისის 11-ს დღით, კვირას 2 საათზე, ადგილობრივ ქალთა 2 კლასიან სასწავლებლის შენობაში დანიშნულია წევრთა

## წლიური საზოგადო კრება

რომელზედაც განსახილველია შემდეგი კითხვები: 1. გასული 1918 წლის ანგარიშის განხილვა—დამტკიცება და მოსაგების განაწილება. 2. ამა 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3. ერთი გამგეობის, ორი საბჭოს და სამი სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები. 4. მიმდინარე კითხვები.

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა.
2—58—1

---

კვირას, მაისის 4-ს, საღამოს 6 საათზე,

**გაზ. „საქართველო“-ს რედაქციაში გაიმართება**

## ჩვენი პარტ. ახალგაზრდათა
## საერთო კრება

მომხსენებელია **ტიტე მარგველაშვილი.**

---

## ძალად დაკარგული განაპირების ხმა

ჩვენს მთავრობას დიდი დანაშაული მიუძღვის, რომ საქართველოს უდავო ნაწილები დღეს სადაოთ არის გადაქცეული. წინააღმდეგ ყოველ დროის გამოცდილებისა და ისტორიის გაკვეთილებისა, საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ სახელმწიფოს აღშენება და მისი საფუძვლის—ტერიტორიის დაცვა შეიძლებოდა რეალურ ძალის დაუხმარებლად, მარტოოდენ ერთა სოლიდარობის და დემოკრატიათა ინტერესის ერთნაირობის ცარიელის ქადაგით. მან ანგარიში ვერ გაუწია ვერც იმ მომენტის სპეციფიურობას, როდესაც კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებელ თვითმოწყობის პროცესი იწყებოდა და ვერც იმ განსაკუთრებულ ვითარებას, რომ კავკასიის სხვა და სხვა ხალხი ერთი მეორის ძირეულ ტერიტორიაში იყო შეჭრილი. მას რომ ეს სინამდვილე არ გამოპარვოდა, შეიძლებოდა საქართველოს თავისებურ მდგომარეობას იგი იმ თავითვე აეძულებინა, ძველი ხერხი და იარაღი ეხმარა საქართველოს საზღვრების დასაჭერად. მაგრამ საქართველოს მთავრობა და მართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია უნუგეშოდ მთვრალი იყო უშინაარსო ლოზუნგებით და მისთვის გარემოებისა და ისტორიის ლოღიკა არ სჭრიდა. თავის ფანტაზიაში იგი ყოველგან თავის მეგობარს და კეთილად განწყობილ მეზობელს ხედავდა და საქართველოს საზღვრებიც უშიშროებაში წარმოედგინა. ნამდვილი და წესიერი ჯარის მოსაწყობად იგი მიზანს და ობიექტს ვერ ხედავდა და არც ზრუნავდა. ნამდვილ მტერს—„კონტრ-რევოლიუციონერებს“—მხოლოდ საქართველოში ჰხედავდა და მათ ასალაგმავად ფიცხელი ღონისძიებაც მიიღო და სათანადო რეალური ძალაც შექმნა—წითელი გვარდია. ამ ცალმხრივობამ ჩვენი ნორჩი სახელმწიფო ხომალდი გადააყირავა.

და საზღვრების საკითხში ძალთა წონასწორობა საქართველოს საზიანოდ დაირღვა.

ასე მაგალითად, მთელი „ზაქათალის ოლქი თავის საზღვრებში მოიქცია აზერბეიჯანმა, რომელსაც მთელ თავის არსებობის სიგრძეზედ ერთხელაც არ ჰქონია შემთხვევა ამ მხარეში ებატონა. ეს ოდითვე საქართველოს მიწა-წყალი და ამ მიწა-წყალზე მოსახლე არა ქართველი ელემენტი პოლიტიკურ და ეკონომიურ-კულტურულ საქართველოსთან საუკუნეებით შედუღებული, ხელში ჩაუვარდა სრულიად უცხოს, რომელსაც, არა გვგონია, სიზმრადაც მოლანდებოდა ასეთი საჩუქარი!

ეს მოხდა საქართველოს მთავრობის დამნაშაურის უთადარიგობით.

ბორჩალოს მაზრაც მსხვერპლი გახდა ჩვენი მთავრობის სიბეცისა და მისი სახელმწიფოებრივი გულუბრყვილობის.

ინგლისთან დადებულ ხელშეკრულების ძალით, ოსმალეთმა რომ ბრძოლის სამხრეთი ნაწილი დასტოვა, ახალციხე—ახალქალაქთან ერთად, ჩვენი მთავრობა არ შეეცადა ეს ნაწილი დაეჭირა. ჩვენს მაგივრად იქ თავისი ჯარი შემოგზავნა და დაიჭირა კიდეც. ამ პოზიციების დაჭერას, როგორც ვიცით, მალე მოჰყვა სომხეთის გამოლაშქრება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც გათავდა ჩვენთვის სამარცხვინო ზავით და ხელშეკრულობით. საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა იმ აქტზე, რომელიც ბორჩალოს მაზრას სადაო ტერიტორიად აცხადებდა! ბორჩალო და ზაქათალა სტრატეგიულად სწყვეტენ საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას. ჩვენი წარსული ისტორია ამის გადაშლილი ილუსტრაციაა; და რამდენადაც ქართველი ხალხის ნებისყოფა და მისი მთავრობის რეალური პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფოებრივ თვითარსებობას დაიცავს და ემსახურება, იმდენათვე ორივესი შეერთებული ენერგია საქართველოს ამ ორივე ჰიშკრის უდავო დასაკუთრებას უნდა ცდილობდეს. უგუნურებით და სოციალისტური გულუბრყვილობით დაკარგული ნაწილები, მსხვერპლით შეგვექმნა დასაბრუნებელი.

და ამ სამწუხარო სინამდვილის წინაშე, გულს ის გარემოება გვიფონებს, რომ ორივე ამ კუთხის მცხოვრებნი, ძველ მადლობის და ტრადიციის ძალით, ჩვენთან განუყრელობას რჩეობენ და მოითხოვენ თავიანთ თავის საქართველოს საზღვრებში მოქცევას. ბორჩალოს მაზრის მაჰმადიანობა, მას აქეთ რაც რევოლუციის ზედგავლენით თავისუფალ სუბიექტიურ დეკლარაციას მნიშვნელობა მიეცა, მასიურ პროტესტს გამოსთქვამდენ საქართველოდან ბორჩალოს მაზრის გამოყოფის წინააღმდეგ.

მაჰმადიანთა პროტესტებს თვითონაც ხმა შეუერთეს ბორჩალოში მოსახლე სხვა ერებმაც. იმ სომხობის გარდა, რომელნიც დაშნაკელების მიერ პოლიტიკურად „გაბრძენებული“ არიან.

ამ დღეებში კიდევ ბორჩალოს ექვსი სოფელი წერილობით შუამდგომლობით შემოვიდა დამფუძნებელი კრების წინაშე, რომელშიაც ამ სოფლების მცხოვრებნი აღნიშნავდნენ, რომ ისინი და მათი წინაპრები თავიანთის სისხლით იცავდნენ საქართველოს მთლიანობას და თავისუფლებას. მოახსენებენ დამფუძნებელ კრებას, რომ ბორჩალოს ძირეულმა მკვიდრებმა ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს მრავალი დადგენილება გამოიტანეს, სადაც გარკვეულად და კატეგორიულად მოთხოვნილი იყო ლორის რაიონის საქართველოს საზღვრებში დატოვება. ეს ექვსი სოფელი გაოცებას და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ საქართ. მთავრობა ამისდამიუხედავად ხსენებულ მაზრას სადაო ტერიტორიად სთვლის, რაც მათ ძლიერ ცუდ მდგომარეობაში აყენებს!!.

ამავე დროს ზაქათალის ოლქიდან მოდის ბევრი კერძო და საგაზეთო წერილი, სადაც მცხოვრებნი იმედს გამოსთქვამენ, რომ ზაქათალა საქართველოს დაუბრუნდება და აღდგენილ იქნება საუკუნებრივი რთული ორგანიული კავშირი განაპირას თავის ბუნებრივ ცენტრთან.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ბ-ნ კემნელის კორესპონდენცია, სადაც ამგვარივე აზრ-სურვილები და იმედები გამოთქმული. იმავე კორესპონდენციაში მოთხრობილია ზაქათალის ოლქის მომიჯნავე ჩვენი კომისრების და მილიციონერების ყოვლად შემაძრწუნებელი მოქმედებანი ოლქის მცხოვრებთა შორისო. მთავრობა ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, რომ ჩვენმა მოხელეებმა არაფერი უწესოება არ ჩაიდინონ ამ განაპირების მიმართ და არ აგვიმხედრონ ის ხალხი, რომელიც საქართველოს საზღვრებში შემოსვლას ნატვრობს.

---

## პ რ ე ს ს ა

**მენშევიკების ხერხემალი.**

„ერთობა“ ში მოთავსებულია წერილი „უხერხემალო რუსეთი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთი ორ ბანაკად არის დაყოფილი. ერთის მხრით მებრძოლი „კომუნიზმი“, რომელიც „ერთობის“ აზრით, თავის პოლიტიკურ ლუნატიზმით ძირს უთხრის რუსეთის არსებობას და სოციალისტური წყობილების მაგიერ სრული სამეურნეო კატასტროფას უმზადებს.

მეორე მხრით არა ნაკლები მებრძოლი რეაქცია, რომელიც პირველ ხანებში ოსტატურად მალავდა თავის უაღრესად რეაქციონურ სულისკვეთებას. რუსეთი ორ ბანაკად დაირაზმა და მათ შორის შეუბრალებელი ომი გაიმართა.

ამ ანალიზის შემდეგ „ერთობა“ განაგრძობს, რომ ამ ორ ბანაკის შუა არსებობს კიდევ სხვა შეუკავშირებელი დემოკრატიული მასსა.

„საკმარისია მოვიგონოთ, სწერს გაზეთი, სხვა და სხვა არჩევნები და დავრწმუნდეთ—რომ ამ ს. ფუალო პარტიის მიმდევრები და თანამგრძნობნი არც თუ უმნიშვნელოა; პირიქით, ზოგგან და ზოგჯერ უმეტესობასაც წარმოადგენს დემოკრატიულ წრეებში. მართალია ეს მასსა ჭრელია, არეული ინტერესთა მიხედვით, რაიცა აძნელებს მათ პოლიტიკურად დარაზმვას, მარა რომ ხელმძღვანელ წრეებს სანახევროდ მაინც შესწევდეს ის მხნეობა, სიმტკიცე და ენერგრია, რომელიც ასე უხვად აქვს ბოლშევიკებს, ამ დაბრკოლების დაძლევა არც თუ ისე ძნელი იქნებოდა, მაგრამ საბედისწერო უძლურება და სიდამბლე მათი ენერგიისა, შეუძლებელს ჰხდის ამ დაქუცმაცებულ ძალების ერთად თავის მოყრას და მსხვილ სოციალურ მთლიანათ ქცევას.

ამ რიგათ რუსეთის დემოკრატია ჩაყენებული ორ ძლიერ პოლიტიკურ ბანაკს შუა, თანდათან დნება, ირღვევა და ასე უფსკრული „წითლებს“ და „შავებს“ შორის თანდათან ღრმავდება, თანდათან ფართოვდება და მით საბედისწერო ხდება მთელი რუსეთისათვის.

# უკანასკნელი ცნობები

გერმანულ დელეგაციის ნაწილი პარიზში ჩავიდა.

საზავო კონგრესზე იაპონიის წინადადებით რასათა თანასწორობა აღიარეს.

ჰუნგრეთის ჯარი რუმინეთის წინააღმდეგ კონტრ შეტევაზე გადავიდა.

ბოლშევიკებმა გროდნო აიღეს, ხოლო ელაპუხის მიმართულებით უკან დაიხიეს.

ბუდაპეშტი საბჭოთა წინააღმდეგ შეთქმულება აღმოაჩინეს.

ბოლშევიკებმა ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე უარისთვის ჯარისკაცების მთელი პოლკი დახვრიტეს.

რუსეთის ხსნა დამოკიდებულია ამ სოციალისტურ დემოკრატიის გაძლიერებაზე, გაჯამრთელებაზე და რამდენათ მალე მოხდება ეს, იმდენათ მალე მოეღება ბოლო იმ ვაკხანალიას, რომლის ცეცხლში ასე ულვთოთ იფერფლება ტანჯული ქვეყანა და მისი დიდი რევოლიუცია.

უეჭველია „ერთობა"-ს რუსეთის ხერხემლათ მენშევიზმი ეჩვენება. ის მასსა, რომლის გაჯამრთელებაზეც დღეს ლაპარაკობს „ერთობა" — ის ხალხია, რომელიც უწინ რუსეთში მენშევიკებს და ესერებს მიყვებოდა. — და რომელთაც წერეთელი და ჩხეიძე მეთაურობდენ.

რუსეთში ყოველ შემთხვევაში ორი აზრი არავის არ აქვს იმის შესახებ, რომ რუსეთის ხერხემალი სწორეთ ამ მენშევიკებმა გადატეხეს და თავის პოლიტიკური სიკვდილით გამოიყიდეს კიდეც თავიანთი მარცხი.

ამ დღეების შემდეგ რუსული მენშევიზმი გაჰქრა ნისლივით და მხოლოდ წარსული ქრონიკა ანიშნავს მათ ყოფნას.

შეიძლება ბევრს სხვა და სხვა აზრი ჰქონდეს რუსეთის მომავალზე — რუსეთი პრობლემა იყო იმპერიის დროსაც, მაგრამ ერთი აშკარაა, რევოლიუცია გადასცდა მენშევიზმის დოგმატიკას და სოციალიზმა კისერი მოიტეხა; და მხოლოდ ძალიან მორწმუნენი თუ დაიჯერებენ მენშევიზმის აღდგომის სასწაულს.

შემთხვევით არის, რომ საქართველოში მენშევიზმი ხერხემლნიანი დადის, მაგრამ ეს ხერხემალი ყველაზე უფრო უნდა უფრთხოდეს განსაცდელს...

## ასიგნაციების განაღდებისათვის

პრინციპიალურად მიღებულ იქმნას პირველ თებერვლამდე გაცემულ ასიგნაციების განაღდება, მხოლოდ ყოველ შემთხვევაში სამხედრო უწყებამ უნდა გამოითხოვოს დასტური ფინამსთა მინისტრისა და სახელმწიფო კონტროლიორისაგან.

## ჯარის კაცთა ხამგზავროდ

ჯარის-კაცთა რკინის გზით გასაგზავნ-გამოსაგზავნ ხარჯთ აღრიცხვისათვის გადაიდოს 100,000 მან.

## ახალი საფოსტო ნიშნები

1) წარმოდგენილი პროექტი საფოსტო (მანეთიან) ნიშნების შესახებ დამტკიცებულ იქმნას.

2) დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს სათანადო განკარგულება გასცეს უკვე დამზადებულ საფოსტო ნიშნების ხმარებაში შესავლელად.

## გამოფენისათვის

მიეცეს ქართველ მხატვართა საზოგადოების გამოფენის მოსაწყობად 10 მილ. ფონდიდან 10,000 მან.

## ოქრო-ვერცხლის გატანა.

ნება მიეცეს სპარსეთ-ადერბაიჯან სომხეთის ქვეშევრდომთ, რომელნიც სამშობლოში ბრუნდებიან, ან სხვაგან სადმე მიდიან, უნებართვოდ წაიღონ სახარჯოთ ხუთი ოსმალური ლირა და 25 კრანი, მეტის გამტანის მსურველმა სათანადო ნებართვა უნდა გამოითხოვოს საგარეო საქმეთა მინისტრის შუამავლობით ფინანსთა მინისტრისაგან.

საბაჟოები ვალდებულნი არიან უნებართვოდ არ გაატანონ საზღვარგარეთ მიმავალთ ხაჩვენებ რაოდენობაზე მეტი ოქრო-ვერცხლის ფული.

ისინი ვალდებულნი არიან დამნაშავეთ საბაჟოს საზოგადო კანონის და თანახმად მოექცენ.

## ბიხოვისათვის ჩამორთმეულ ხალიტოგრაფიო მანქანების საფასური.

მიეცეს ბიხოვს, ჩამორთმეულ სალიტოგრაფიო მანქანების საფასურად 25,000 მან.

## სადაო ადგილების ფაბრიკა-ქარხნების საქმეების გადაცემა.

უდავო ტერიტორიის საქარხნო საბჭოს და საფაბრიკო ინსპექციისა გადაეცეს ბათუმის ადმინისტრატიულ საბჭოს და სომხეთის მისიის წარმომადგენლებს.

# მთავრობის ცნობები

26 აპრილს სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**შმაგაილოვისა და კუჩარიანცის საქმე**

ძეგვის ხიდის ამფეთქებელ შმაგაილოვსა და კუჩარიანც მისჯილი სიკვდილით დასჯა 12 წლის კატორღით შეეცვალოს.

# ქრონიკა

**კათალიკოზ-პატრიარქის წირვა** კვირას 4 მაისს მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი მწირველი ბრძანდება თბილისის რკინის გზის ეკლესიაში. წირვა დილის 11 საათზე დაიწყება.

**ფოცხოველების შუამდგომლობა** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა ფოცხოვიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ფოცხოვის რაიონის ყველა სოფელთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელიც შესდგა დიდროში, (ყრილობას 205 კაცი დაესწრო) მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს დმფუძნებელ კრებას და უმორჩილესად სთხოვს მიიღონ ისინი თავიანთ მფარველობის ქვეშ.

**ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი.** ადერბეიჯანის მთავრობის განკაგულებით ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოში ინჟ. ვექილოვი დაინიშნა.

**ადეიშვილის მოქმედების გამოძიება.** სისხლის სამართლის მილიციის უფროს ადეიშვილის მოქმედება ყაჩაღ მორჩაძის დაჭერის დროს, გამოიძია ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე გეგელაშვილმა. გამოძიებამ ცხადჰყო ადეიშვილის ბევრი უკანონო მოქმედებანი. დამნაშავენი: გ. ასათიანი, ლ. აფაქიძე, ვ. ქელბაქიანი, ი. მესხი, ე. ჩუბინიძე, ნ. უგრეხელიძე. ადმინისტრაციის ინსპექტორის განკარგულებით დააპატიმრეს. დაპატიმრებულთ ბრალდებათ ხალხის გალახვა, ქრთამების აღება და სხ. აგრეთვე განკარგულება გაიცა დაიჭირონ მილიციელები ჩხობაძე, ჭულუხაძე და სხვანი. სისხლის მილიციის უფროსი ადეიშვილი კი სამსახურიდან გადააყენეს. ამის შესახებ გეგელაშვილმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს.

## სატრანსპორტო საზოგადოებაში

**ქონების ჩაბარება.** საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება უკვე შეუდგა გზათა სამინისტროს საავტომობილო სახელოსნოების, საავტომობილო საწყობებისა და ავტომობილების ჩაბარებას.

**ხაფოსტო ტრანსპორტი.** საქ. სატრანსპორტო საზოგადოებას აზრად აქვს მოაწყოს საავტომობილო-საფოსტო ტრანსპორტი: სიღნაღ-ლაგოდეხსა, ყაზბეგსა, კოჯორსა, ქუთაის-ბაღდადსა და სხ. დაბა-ქალაქებში.

## ლტოლვილთა შესახებ

**ბათუმის ოლქის ლტოლვილნი.** ორშაბათს თბილისიდან ბათუმისაკენ გავა ბათუმის ოლქის ლტოლვილთა 1 მატარებელი.

**ყარსის ოლქის ლტოლვილნი.** ყარსის ოლქის გენერალ გუბერნატორი ყორღანოვი დეპეშით ატყობინებს სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელს თბილისში, რომ აუცილებელია მალე მოეწყოს ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნების საქმე.

## სხვა და სხვა ამბები.

**პავლოვის მკვლელობა.** 30 აპრილს საღამოს 10 საათზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომელი გრ. მინ. პავლოვი მიდიოდა გიმნაზიის ქუჩაზე. ვილაც უცნობმა ესროლა პავლოვს და მოჰკლა მიზეზი გამოურკვეველია. პავლოვი 30 წელიწადი თანამშრომლობდა სხვა და სხვა გაზეთებში.

**კომისარისა და მილიციონერების დატუსაღება.** თბილისის მილიციის უფროსის განკარგულებით დაატუსაღეს სოფ. მუხრანის კომისარი და მილიციონერები, რომლებსაც სმიშჩიკოვის მძარცველთა ჩუმად განთავისუფლება ბრალდებათ.

**დაჭრა და დაპატიმრება.** 28 აპრილს საღამოს 11 საათზე ლაზარევის ქუჩაზე დასჭრეს ამიკირტუმოვი. დააპატიმრეს ა. კიკნაძე, შ. თევდორაძე, და მე-9 კომისარიატის მილიციელი გაბედავა. გაბედავა გამოკითხვის დროს დანაშაულობაში გამოტყდა.

**ქურდობა** 27 აპრილს ო. ხანგულოვის ბინიდან, აბას-აბადის მოედანი № 1) 3600 მანეთი ნიკოლოზის ფული, 28 ვერცხლის ფული და 400,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს.

**ქურდობა.** 28 აპრილს ღამით ვლად. გიორგაძის ბინიდან (მალაკანის ქუჩა № 13) 4,000 მანეთის ნივთები მოიპარეს.

**გაძარცვა** 29 აპრილს ღამის 2 საათზე მელიშე-იბრაილ-ოღლის ბინაზე, (ბეგლაროვის ქუჩა № 18), შევიდნენ რამოდენიმე ბოროტ-გამზრახველნი და სიკვდილის მუქარით 21000 მანეთი ფულად და სხვა და სხვა ნივთები გაიტაცეს.

**ლექცია.** დღეს, შაბათს, საღამოს, 7-ნახევარ საათზე, უნივერსიტეტის სადგომში (გოლოვინსკის ქ. 10), ილ. ნაკაშიძე, რომელიც ახლახან დაბრუნდა სამზღვარეთიდან, წაიკითხავს ლექციას: „ხალხების კავშირი". ლექციის შემდეგ მოხდება ბაასი.

**ჯავახიშვილის მოხსენება.** საქართველოს საზავო დელეგაციის წევრმა პროფესორ ჯავახიშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე მომენტზე საყურადღებო მოხსენება წაიკითხა. მოხსენებას სტუდენტობის და პროფესორების გარდა გარეშე ხალხიც დაესწრო. უადგილობის გამო ბევრი უკან დაბრუნდა. მოხსენების ანგარიში ჩვენი გაზეთის სახვალიო ნომერში დაიბეჭდება.

## კრებები

**თბ. პარიკმახერთა პროფესიონალურ კავშირის კრება.** კვირას, 4 მაისს დანიშნულია თბილისის პარიკმახერთა პროფესიონალური კავშირის საერთო კრება. მოხსენება გამგეობის და ახალი გამგეობის არჩევნები. კრება შესდგება კავშირის ბინაზე, სასტუმრო „ბო-მონდ".

## სამხატვრო ქრონიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს 3 მაისს „თაისი". ხვალ, 4 მაისს, დილით „ჯამბაზები" და „ბალეტი"; საღამოთი მ. ს. მარკოვის ბენეფისი ალეშკოს მონაწილეობით, „აფრიკელი ქალი".

**უფრთო ფრინველი.** რედაქციამ მიიღო მიქელ დიანელის პოემა „უფრთო ფრინველი".

**ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა.** კვირას, მაისის 4-ს, დღის 2 ს., ქართველ მხატვართა საზოგადოების დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 13), დანიშნულია ქართველ მხატვართა სურათების გამოფენის ვერნისაჟი.

# პარტიული ცხოვრება

**ახალგაზრდების კრება.** ხვალ, საღამოს 6 ს., „საქართველოს" რედაქციამ გაიმართება ჩვენი პარტიის ახალგაზდათა საერთო მორიგი კრება. მომხსენებელია ტ. მარგველაშვილი. გარჩეული იქნება საორგანიზაციო საკითხებიც. დასწრება სავალდებულოა.

# გენერალ ივანე ალ. ნაკაშიძის გარდაცვალება

საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილი რწმუნებული ო. ლორთქიფანიძე დაბრუნდა კისლოვოდსკიდან, სადაც მას დავალება ჰქონდა ხელი შეეწყო ცნობალ მოღვაწის გენ. ივანე ნაკაშიძის სამშობლოში დაბრუნების სურვილის განხორციელებისთვის. მან თითქმის ნახევარი წელი დაჰყო მძიმედ დაავადმყოფებულ ნაკაშიძესთან და ელოდა მის განკურნებას, მაგრამ სნეულობის გამო მისი გადმოყვანა შეუძლებელი გახდა, განსაკუთრებით კი უგზოობის გამო, მხცოვანი ნაკაშიძე, ლორთქიფანიძის გადმოცემით, კიდეც გარდაიცვალა კისლოვოდსკში, სადაც მისი ცხედარი ადგილობრივ ქართველებმა დროებით დაკრძალეს. განსვენებულს დაუტოვებია ანდერძი და მისი ქონების გაწესრიგება ახლობელ პირთათვის მიუნდვია.

გარდაცვლილი გენერალი იშვიათი ხასიათის პატრონი იყო. კეთილი სულისა და თანამემამულეთადმი გულშემატკივარი ადამიანი. მას დიდი ამაგი მიუძღოდა პეტერბურგში მყოფ ქართველთადმი, განსაკუთრებით მზრუნველობას კი იგი [illegible] ახალგაზრდებ[illegible] ქართველი, რომელიც პეტერბურგში ყოფილიყოს და ნაკაშიძისაგან დახმარება არ მიეღოს. განსვენებული თვალსაჩინო მონაწილე და მეთაური იყო პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა ახალშენის მიერ დაწყებულ ყველა კეთილ საქმეებისა.

# საქართვ. რკინის გზაზე

საქართველოს რკინის გზაზე ყოველდღიურად მომხდარი უწესობა ზღაპრულ სახეს იღებს. იშვიათად არის თუ მატარებელთა მიმოსვლის სფეროში, თანამდებობის პირნი თავის ალაგზე იყვნენ. და თუ ვინმე თავის ალაგზეა, მხოლოდ ფორმისა და თავის სარგებლობისათვის, თორემ საქმეს ყურადღებას არ აქცევს. ამ მხრივ მატარებელთა კონდუქტორები და მოხელენი პირველს ადგილს იჭერენ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით მგზავრს, რომელიც მათთაგან შეწუხებას და უდიერ მოქცევას აგიწერთ. ფულის გამორთმევა ხომ „კანონად" არის დაწესებული. კონდუქტორი განგებ არა დგება ვაგონის კარებთან, რომ მატარებელი ბევრი უბილეთო ხალხით გაივსოს და მეტი ფული ავკრიფოო. და დაიძვრის თუ არა მატარებელი, კონდუქტორები ერთი კუთხიდან მეორეს გასძახიან: „აბა ბილეთი დაამზადეთ, თუ არა და ორმაგი (двойное) გადაიხადეთო"... მგზავრს კი, რომელსაც უადგილობისა, ან დაგვიანების გამო ბილეთი ვერ აუღია, სადგურზე დარჩენას ორმაგის გადახდა ურჩევნია...

იკრიფება ფულები... მაგრამ არა ხაზინისათვის, არამედ კონდუქტორების და რევიზორ-თანამოსამსახურეთათვის.

მარტის 13-ს, რკინის გზის გვარდიელთა თბილისის შტაბის მიერ, უფროსი რევიზორის სამსონიას თქმით, გაგზავნილ იქმნენ ავჭალის მხრისაკენ გვარდიელნი სერგო ტულუშის ხელმძღვანელობით, რომელთაც გზაში ზემოდ აღნიშნულ უწესოებისათვის ყურადღება უნდა მიექციათ. ამ დღის განმავლობაში, აღნიშნულ პირთაგან რკინის გზამ 6000 მანეთამდე ისარგებლა... ეს ისეთი რიცხვია, რომ ერთ მატარებელს, თუნდაც მთელი დღის განმავლობაში, ამის ნახევარიც რომ ესარგებლებინა საერთო ჯამში შესამჩნევ თანხას შეადგენდა... და ასეთ გარემოებათა შემდეგ რომელი იტყვის, რომ რკინის გზაზე წეს-რიგია და თავის მოვალეობას ყველა პირნათლად ასრულებსო. მდგომარეობა კი მეტად მწვავეა. საქართველოს რკინის გზა ერთი უდიდეს დაწესებულებათაგანი ჩვენი რესპუბლიკისა... მისი მდგომარეობა რესპუბლიკის სახელს უნდა ამშვენებდეს.

**მ. მელატიშვილი.**

# ახალი კანონ-პროექ. შრ. ხელ-შეკრულობისა

შრომის სამინისტროს ახალი კანონ-პროექტი შრომის ხელშეკრულობისა ეხება ისეთ დიდ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც მთელი ჩვენი ეკონომიური მხარის, მაშასადამე მთელი ჩვენი არსებობის საფუძველია. ამიტომ საჭიროა მისი განხილვა და მისი ყოველ მხრივი გასინჯვა. კანონპროექტის განხილვის დროს როგორც პროექტის დამცველნი, ისე მისი მოწინააღმდეგენი მოვალე ვართ შემდეგი საერთო დედა აზრით ვიხელმძღვანელოთ: პროექტი იმდენად უნდა იყოს მისაღები, რამდენად იგი გააძლიერებს შრომის ნაყოფიერებას და ამით ხელს შეუწყობს ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას და განმტკიცებას და იმდენად უარსაყოფი, რამდენად ეწინააღმდეგება ამ დედა აზრს, ეჭვს გარეშეა, რომ ახალი კანონი ვერ აღადგენს იმ თვითნებობას და იმ თავგასულობას, რომელიც ძველი კანონების ძალით, მინიჭებული ჰქონდა დამქირავებელს, და ვერ ჩააყენებს დაქირავებულს იმგვარ უმწეო მდგომარეობაში, როგორშიც იგი იყო რევოლიუციამდე. ამ მხრივ ურთიერობა დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის უთუოდ შეცვლილი უნდა იყოს, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს შეცვლა და დაქირავებულის მდგომარეობის გაუმჯობესობა ძირს არ უთხრიდეს საზოგადოთ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას.

ახალ კანონპროექტს რამოდენიმე ღირსება აქვს, ერთი ის არის, რომ იგი მართლა კანონია, ე. ი. მასში დაწვრილებით ჩამოთვლილია ორივე მხარის უფლება და მოვალეობა, ჩვენ შეგვიძლია წინააღმდეგი ვიყოთ კანონის ამა თუ იმ მუხლის ამა თუ იმ დადგენილებისა, მაგრამ ჩვენ მაინც განსაზღვრულად ვიცით, რას აკისრებს კანონი დამქირავებელს და რას აკისრებს დაქირავებულს. ამ მხრივ ახალი კანონპროექტი ბევრად უფრო გასაგები და ცხოვრებაში გასატარებელია, ვიდრე რევოლიუციის დროს გამოცემული დეკრეტები და განმარტებანი, რომლიდანაც არა თუ ჩვენ, გარეშე პირთ, არამედ თვით ამ დეკრეტებისა და განმარტების ავტორების სხვა და სხვა აზრი და უფრო ხშირად ვერავითარი აზრი ვერ გამოეტანათ. ეკონომიურ ცხოვრების ასაღორძინებლად და სახელმწიფოებრივ აპარატის გასაგებად ძნელი და ამიტომ ყოველგვარი უთანხმოების გამომწვეველი კანონი სარგებელს, რასაკვირველია, ვერ მოიტანს.

კანონპროექტით დამქირავებელს ნება ეძლევა დაითხოვოს დაქირავებული და იძულებული არაა, უთუოდ მიიღოს იგი. (§ § 8, 85). ეს არის მეორე ღირსება ახალი კანონ-პროექტისა, 1918 წ. 14 იანვრის გამოცემული დეკრეტით კი დამქირავებელს ეს უფლება თითქმის სრულიად არ ჰქონდა და იგი მოვალე იყო დათხოვნილი დაქირავებული უკანვე მიეღო; მართალია კანონპროექტით უმეტეს შემთხვევაში დამქირავებელი მატერიულად ბევრად ისჯება, მას დიდი მსხვერპლი შეაქვს ამ უფლების შესანარჩუნებლად; მაგრამ ჩვენთვის ამ ჟამად ისიც დიდად მნიშვნელოვანია, რომ ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტება, რომ ვაჭრობა-მრეწველობის ასაღორძინებლად დამქირავებელს უნდა ქონდეს უფლება დაქირავებულის დათხოვნისა ახალი კანონ-პროექტით პრინციპიალურად აღიარებულია და დავას არ იწვევს. ორი წელიწადი დაგვჭირდა, რომ ეს აზრი დაგვეღეჭა და გაგვეგო, ამ დროს განმავლობაში მრავალ საეკონომიო დაწესებულებას გამოვუთხარეთ ძირი, ბევრი დავხურეთ. ამის იქითაც ძნელი მდგომარეობა დამქირავებელისა, როგორც შემდეგ დავინახეთ, გაგრძელდება, მაგრამ ვიმეორებთ, ახალ კანონ პროექტის დიდ ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მას შეგუებული აქვს ზემოხსენებული დედა-აზრი. მესამე ღირსება ამ კანონ-პროექტისა იმაშია, რომ იგი აღიარებს ნარდად მუშაობის პრინციპს (§ § 62—63). აქაც, რასაკვირველია, კანონ-პროექტი ამ ყველასათვის გასაგებ და ჩვენი ცხოვრებისათვის, უსაჭიროეს დედა-აზრს ბოლომდე არ ატარებს, იგი ჰხუთავს და თითქმის კიდეც აქარწყლებს აღიარებულ ზოგად პრინციპს, მაგრამ თვით მისი გამოცხადება, მისი შესაძლებლობის თქმა დიდი ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნისათვის. აქამდის ამას არა თუ აღიარება, არამედ მაზედ ლაპარაკიც შეუძლებელი იყო, არა თუ შევზღუდეთ კანონით მუშაობის დრო 8 საათათ ისეთ საქმეებში, სადაც ეს შეუძლებელი იყო, არამედ რევოლიუციის სახელით ეს დროც შევაშოკლეთ და 6—4 საათამდე და ამ დროში დაქირავებულთ მივეცით სრული უფლება შრომის მაგიერ სიზარმაცის და დაუდევრობის უნარი გამოეჩინათ. თუ კანონ-პროექტი ისე იქმნა გატარებული, როგორც შემდგენილია, ამ პრინციპის აღიარება ცხოვრებაში დიდ სარგებლობას არ მოიტანს იმ გამაქარწყლებელ პირობების გამო, რომელიც დართული აქვს ნარდათ მუშაობის აღიარებას, მაგრამ შემდეგისათვის კი თვით ამ პრინციპის აღიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, ამით განისაზღვრება ღირსება ანუ დადებითი მხარე ახალ კანონ პროექტისა. ნაკლი კანონ პროექტს ბევრად მეტი აქვს, ჩვენ მხოლოდ უფრო მნიშვნელოვან ნაკლს აღვნუსხავთ, რადგან თუ უმთავრეს პრინციპებზედ შევთანხმდით, წვრილი ნაკლის შესწორება დიდს კამათს, ვფიქრობთ, არ გამოიწვევს.

პირველი დიდი ნაკლი ამ კანონ პროექტისა იმაშია, რომ იგი სტოვებს ძალაში დამქირავებელის და დაქირავებულის ახლანდელ ურთიერთობას თუ ეს ურთიერთობა უკეთესია, ვიდრე გაწესრიგებულია კანონ პროექტში. (§ § 17, 96)... ამგვარათ თუ 8 საათის მაგიერ მუშებმა რევოლიუციის სახელით აიძულეს დამქირავებელი ან თვითონ შემოიღეს 6 ან 4 საათის მუშაობა, დამქირავებელს ნება არ აქვს შრომის დრო კანონიერ დროზედ დააყენოს; თუ იმავე რევოლიუციის სახელით ზოგიერთ მუშებმა უზომო ჯამაგირი ან სალიკვიდაციო გაიწესეს, დამქირავებელი იძულებულია ამ კანონ პროექტის მიღების შემდეგაც აძლიოს ამ გვარი ჯამაგირი და სალიკვიდაციო და სხვა; ყველა ეს პრივილეგია აძნელებს და აფერხებს ვაჭრობა მრეწველობის განვითარებას და რასაკვირველია გამოიწვევს სხვა მუშებში სრულიად სამართლიან რეაქციას, რადგან ზარალში დარჩებიან სწორედ ის განვითარებული მუშები რომელთაც რევოლიუციის დროსაც ესმოდათ, რომ გადამეტებული მოთხოვნილებანი როგორც უფლებრივ ისე ეკონომიურ მხარეში მიუღებელი და შეუძლებელია, და ის მუშები კი, რომლებიც სარგებლობდნენ რევოლიუციის სახელით თავის პირად მიზნების მისაღწევად ან ცდებოდენ უნებლიეთ, ისინი კი პრივილეგიით დარჩებიან აღჭურვილი. რომ ამ კანონს მართლა საერთო კანონის ხასიათი მივცეთ, საჭიროა, რომ მასში შეტანილი იქნეს მუხლი, რომლის ძალით ამ კანონის მიღებას შემდეგ ყველა ძველი დეკრეტები და კანონები ან ყოველ გვარი შეთანხმება, რამდენათაც იგინი ეწინააღმდეგებიან ამ კანონს, კარგავენ ძალას და ორივე მხარე იძულებულია დაემორჩილოს მხოლოდ მმ კანონს.

მეორე ნაკლი ამ კანონ პროექტისა მასშია, რომ იქ არეულია ერთმანეთში ყველა მოსამსახურე და მუშა და ყველა იმათთვის ერთგვარი მოვალეობა და უფლებაა დანიშნული (§ 1, 2, 4, 5 და სხვები).

სახელმწიფო მოხელეთა და ადმინისტრატორად მოწვეული პირთა გარდა ყველა მოსამსახურე და მუშათ რა დაწესებულებაში და სად უნდა მსახურობდენ იგინი, ექვემდებარებიან ამ კანონის დებულებას. ქარხნის მუშაა იგი სხვა და სხვა კონტორებში მოსამსახურე, თუ მიწის სოფლელი მუშა ყველასათვის ჰფიქრობს ეს კანონ პროექტი ერთი ნოველლის შექმნას. კანონი ვერას დროს ვერ გაწვდება ყოველაფერ და ყოველ გვარ მოსამსახურე და მუშას. თვით კანონ პროექტის დედა აზრის მიხედვით საჭიროა რომ ეს კანონი ვრცელდებოდეს მხოლოდ ფაბრიკებში და ქარხნებში და სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში და აგრეთვე სახელოსნებში მოსამსახურე და მუშებზე. მაგრამ რადგანაც ამგვარ დაწესებულებანიც შეიძლება იყოს მცირე, ამიტომ საჭიროა რომ ახალი კანონი ვრცელდებოდეს მხოლოდ იქ, სადაც არის დაქირავებული მოსამსახურე და მუშა არა ნაკლებ მაგ. ხუთი კაცისა.

მესამე დიდი ნაკლი კანონ პროექტისა იმაში მდგომარეობს რომ იგი აიძულებს დამქირავებელს მოსამსახურეები თუ მუშები აიყვანონ მხოლოდ შრომის ბირჟის შემწეობით ამგვარი წესი აქამდე დაკანონებული არსად არ იყო, მხოლოდ ზოგიერთი საპროფესიო კავშირები ძალადობით აიძულებდენ მაქირავებელთ მიეღოთ მოსამსახურე და მუშები მათი თანხმობით და სანქციით, ამიტომ ამგვარ წესის შეტანა რასაკვირველია ვაჭრობა და მრეწველობის განვითარებისათვის წინსვლას კი არ მოასწავებს, არამედ მათ დაშლას და არევ-დარევას გამონაკლისები ადმინისტრატორების, კანტროლიორების, გამგეობის წევრების, გამგეების, შემნახავების და პირადი მდივნების შესახებ იწვევენ გაუგებრობას, რადგან კერძო ვაჭრობა მრეწველობაში ეს სახელწოდებები სრულიად არ არის დაკანონებული და იმათი გამოცალკავება სხვა მოსამსახურეთა და მუშათგან ყოვლად შეუძლებელია 1918 წ. 14 იანვრის დეკრეტის ცხოვრებაში გაყვანის დროს შრომის სამინისტრო სწორედ ამგვარ განცალკავებას ცდილობდა მაგრამ სინამდვილემ დაამტკიცა რომ ეს აზრი სრულიად აუსრულებელია, მოსამსახურე ადმინისტრატორის, კონტროლიორის, გამგის, შემნახავს ობიექტიურად თვისებების აღნუსხვა და მათი სხვა გვარი უფლებით აღჭურვა, ცხოვრებაში ყოვლად შეუძლებელია.

მეორე მხრივ თუ ზემო-ხსენებულ პირების დაქირავება დამქირავებელის სრულს ნება ყოფლობაზეა მინდობილი, ყოვლად გაუგებარია, როგორ შეიძლება გარეშე ორგანიზაციის სურვილზე იყოს დაქირავება დახელოვნებულ მუშებისა (квалифицированые рабоvie ), ოსტატების შტეიგერების, თუ პირადი მდივანი შეიძლება დაიქირაოთ, როგორც თქვენ გინდათ, როგორ შეიძლება საიდუმლო ქაღალდების გადამწერი ან ის შათირი (курьерь) რომელსაც ამგვარი ქაღალდები დააქვს, დამოკიდებული იყოს არა თქვენ სრულ ნებაზე, არამედ შრომის ბირჟის თანხმობაზე, კანონ-პროექტი ადასტურებს

# სომხეთში

**ვანი.**

ერევნიდან იტყობინებიან, რომ ოსმალებმაქ. ვაინი გასწმინდეს. წასვლის წინ მცხოვრებლებს გამოუცხადეს: „ვისაც არა გსურთ სომხეთს დაემორჩილოთ ჩვენ წამოგვყევითო“.

**გენ. მილნი.**

გენ. მილნი ერევანში ჩავიდა, იქიდან ყარსში გაემგზავრება.

**ყარაბაღი.**

აპრილის 23-ს შუშაში შესდგა ყარაბაღის სომეხთა ყრილობა. რომელზედაც პოლკ. შატელვერტი დაესწრო.

ყრილობამ ერთხმად დაადგინა აზერბაიჯანის მთავრობას არ დაემორჩილოს.

პოლკ. შატელვერტი შეეკითხა სომხებს, თუ რაზე ეყრდნობიან, როცა ასეთი დადგენილება გამოაქვთ. ყრილობის წევრებმა უპასუხეს, რომ მათ მოკავშირეთა იმედი აქვთ, მიუხედავად ამისა იეორე დღეს პოლკოვნიკმა შატელვერტმა ბრძანება გამოსცა, რაშიაც უბრძანებდა მცხოვრებლებს აზერბეიჯანის გუბერნატორს დამორჩილებოდნენ, რომელიც იმავ დროს ინგლისის წარმომადგენელიც არისო.

# ყუბანი

(წერ. საკ. კორესპ.)

ეკატერინოდარი გენ. დენიკინის სარეზიდენციო ქალაქია. გაზ. „როსსია“ (მოხალისეთა ჯარის იდეის გამომხატველი) 28 მარტს ჰსწერს: „გენ. დენიკინი ის ძალაა, რომლის გარშემო თავი უნდა მოიყაროს რუსეთის აღდგენის ყველა მოსურნემ. და თავისთავად ეს ასეც ხდება. „სოციალიზმისთვის“ მებრძოლი ინტელიგენცია მწარე გაკვეთილების მერე კოლჩაკისა და დენიკინის დროშის ქვეშ ჰსდგებიან. თუ კალედინის დროს კადეტთა პარტია ჩვენ გვკიცხავდა, სამაგიეროდ წელს კადეტთა პარტიის ყველა თვალსაჩინო წევრები ჩვენთან არიან და ხსენებულ პარტიის მთავარ კომიტეტმა ახალ წელიწადს ხომ დენიკინს „რუსეთის მხსნელი“ უწოდა. მოხალისეთა გმირის რკინისებურ ტაქტიკას ვერას დააკლებს ყუბანის მთავრობის წევრთა უაზრო გამოსვლა. მოხალისეთა ლაშქარი რუსეთის მთლიანობის და ძლიერების სიმბოლოა და ყუბანის მმართველთა საბოტაჟი მის წინაშე უძლურია. დენიკინს ბოლოს შეუძლია თვით შეადგინოს მთავრობა და ადგილი უჩვენოს ყველა იმ „ვითომდა“ მოღვაწეთ, რომელთაც მთავრობა ოპოზიციაში მდგომად ესმით და რადა სალაყბოდ გადააქციებს.

შედარებით ნოვოროსისკთან აქ სიწყნარეა, ქუჩები მოსეირნე ხალხით არი სავსე. დღეს კერძო მგზავრებს არ უშვებენ, ჯარი გადაჰყავთ აჯანყებულ ქისტებისკენ და ელვის სისწრაფით მომავალ ბოლშევიკების დასახვედრად...

რამდენიმე დღის წინად, როგორც ეკატერინოდარში ლექცია წაიკითხა თბილისის რუსულ გიმნაზიის დირექტორმა ბ-ნ პალმოვმა, რომელმაც უსაბუთოდ და უსამართლოდ გაილაშქრა ქართველების წინააღმდეგ. ხოლო ქება-დიდებით მიუმართავს სომხებისთვის, ქართველებს თეატრის დარბაზი დემონსტრატიულად დაუტოვებიათ. ლექცია წაიკითხა აგრეთვე ცნობილ პურიშკევიჩმა, რომელმაც თავის ლექციაში სხვათა შორის ჰსთქვა: ქართველ-სომეხთა ომი ინგლისელების და მოხალისეთა ლაშქრის საქმეაო“. დენიკინს ბრძანება გაუცია, რათა პურიშკევიჩი ყუბანიდან 24 საათის განმავლობაში გაეძევებინათ.

ყაზახებსა და ოფიცრებს დიდი უკმაყოფილება აქვთ: ყაზახები უკიჟინებენ სხვა და სხვა კუთხიდან მოსულ ოფიცრებს,—თქვენ ჩინებისთვის და ფულისთვის ხართ აქ, მაგრამ სულ ერთია ჩვენი ხელიდან ცოცხალი ვერ წახვალთო“.

ერთმა ყაზახმა ოფიცერს (კომენდანტს თავი მოსჭრა, რადგან ამ უკანასკნელმა ყაზახთა რაზმისთვის თავის დროზე ორთქლმავალი ვერ იშოვა. რკინის გზის მუშები განრისხებული არიან დენიკინზე და სიხარულით ელიან ბოლშევიკებს, სხვა მუშებიც რამდენად ეს კერძო საუბარში გამოირკვა უაღრესად უკმაყოფილონი არიან დენიკინისა, მაგრამ არც ბოლშევიკებისგან გამოელიან სიკეთეს. უფრო გაბრაზებულია სოფლის ხალხი, რომელთაც ყაზახები თვითნებობით ართმევენ ცხენებს, თივას, ქერს და სხვა სურსათს. თუ სოფელმა ხმა ამოიღო, მას უჩვეულო სიმკაცრით ჰსტუქსავენ; ეკატერინოდარის გუბერნიაში იანვარში აჯანყებისთვის 52 გლეხი ჩამოუხჩვიათ მათი ძალა უმთავრესად არტილერიაში და კავალერიაშია ქვეითა ჯარი ნაკლებად ჰყავთ.

მოხალისეთა ჯარი თავბრუ-დასხმული იყო, ბოლშევიკები იზოვკის ასპარეზზე საომრად ჯარს კი არ ჰშლიდნენ, არამედ დამტვრეულ ვაგონებით ერთ პუნქტიდან მეორეს ეწევოდენ. მთელი ომი მხოლოდ რკინის გზაზე ჰსწარმოებდა, მოხალისეთა დევგმირები რკინის გზებსაც ვერ იცავდნენ, უკანასკნელი იმედი გენ. შკუროზე იყო, რომლის რაზმი მართლაც თავგანწირვით იბრძოდა.

დამარცხებაში ყაზახები ოფიცრებს ამტყუნებდნენ, ოფიცრები კი ყაზახებს. მათ შორის შეტაკება აუცილებელია. როდესაც აჯანყებულ ჩეჩნების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა ყაზახებმა ოფიც. არ წაიყვანეს. კერძო პირებს ქალაქიდან წასვლის ნებართვა მისცეს. ჩვენ კავკავისკენ წამოველით. მინერალურ წყლებში საშინელი სიძვირეა, გირვანქა პური 12 მ. ჰღირს. კისლოვოდსკის სადგურზე 250 [illegible]

[illegible]

**ირაკლი დადიანი.**

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**2 მაისი.**

**ბოლშევიკური ცნობები**

[illegible]

დემანელები მიულერი და ველსი. მათ უკვე მიიღეს საჭირო ქაღალდები ამსტერდამში წასასვლელად.

**ბუდაპეშტი** აპრ. 28. მიუნქენის მუშათა ალმ. კომიტეტმა შემდეგი დეპეშა გამოგზავნა ბუდაპეშტში: რადგან ბურჟუაზიული პრესა მიუნქენის იზვესტია სწორ ცნობებს არ იუწყება საჭიროა გაცნობოთ, რომ ქალაქში ნამდვილი მდგომარეობა ასეთია: მცხოვრებლები სრული სიმშვიდით განაგრძობენ თავის ჩვეულებრივ საქმეებს. საყოველთაო გაფიცვა გაგრძელდება რევოლიუციის გასამტკიცებლათ. წესიერებას და სიწყნარეს იცავს წითელი არმია და შეიარაღებული მუშათა რაზმები.

**ბერლინი.** აპრ. 28. დამოუკიდებელთა ორგანო „ფრეიე შტაატი“ იუწყება: საქსონიის იუსტიციის მინისტრმა აღიარა, რომ საალყო წესების გამოცხადების ბრძანება მთავრობამ სამხედრო მინისტრის ნეირინგის მოკვლამდე გასცა.

**ბერლინი.** აპრ. 29. „ფრეიე ცეიტი“ იუწყება, რომ კატვიგში დააპატიმრეს რუსი მალაროს მუშების წარმომადგენელნი, რომელთაგან ზოგი მალე გაანთავისუფლეს, დანარჩენნი სამხედრო სასამართლოში მისცეს, მაგრამ შემდეგ მუშების ძალდატანებით თითქმის ყველა გაანთავისუფლეს. მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ ვერფებზე მყოფი გემები მოხალისეთა საზღვაო კორპუსს გადაეცეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველათ, მაგრამ კილის მუშებმა, რომელთაც არა სურთ ხელი შეუწყონ სისხლის ღვრას და მით უმეტეს, რუსებთან ომს, დაადგინეს მთავრობის ბრძანება არ შეასრულონ. მთავრობამ მუშებს დაუთმო.

**ბერლინი.** აპრ. 28. დამოუკიდებელთა კრებამ დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს ყველა მოხალისეებს და თეთრ გვარდიელებს. როტერდამიდან მიღებულ ცნობებით ინდოეთის ვიცე კოროლი იუწყება, რომ ინდოეთში მღელვარება აშკარა აჯანყების ხასიათს ღებულობს და მდგომარეობა საშიშია.

**ბუდაპეშტი.** აპრ. 29. ბუდაპეშტში აღმოაჩინეს კონტრ რევოლიუციონური შეთქმულება. სამოსამართლო გამოძიებამ გამოარკვია, რომ შეთქმულებაში, რომელიც ფართეთ მზადდებოდა მონაწილეობას იღებდენ ძველი რეჟიმის ზოგიერთი მოხელენი და ვენაში გაქცეულ კონტრ-რევოლიუციური ბურჟუაზიის გაზეთის რედაქცია.

**ლიონი.** აპრ. 29. საზავო კონფერენციის საერთო სხდომაზე გამოირკვა, რომ ყველა დელეგატები მხარს უჭერენ ხალხთა ლიგის შექმნას, თუნდაც მის შემადგენლობიდან 2 სახელმწიფო გამოვიდეს. ინგლისმა და ამერიკამ მიიღეს საფრანგეთის შესწორება რეინის მარცხენა ნაპირზე მისთვის გარანტიის მიცემის შესახებ. უკანასკნელ საერთო სხდომაზე მიიღეს იაპონიის შესწორება რასათა თანასწორობის შესახებ. გამოირკვა, [illegible] ამერიკას ვერ შეუძლია [illegible] ბა გაუწიოს სამხრეთ ამერიკის პატარა რესპუბლიკების თავისუფალ განვითარებას, ან მათ შეკავშირებას.

**ლიონი**, აპრილის 29. ბარიელნიდან მიღებულ ცნობებით მთავრობამ ხელი აიღო გაფიცულ ტელეგრაფის მოსამსახურეებთან მოლაპარაკებაზე. ესპანიის ტელეგრაფის მოსამსახურების დღევანდელ სხდომაზე დაადგინეს განაახლონ სატელეგრაფო ურთიერთობა მადრიდსა და ბარსელონას შუა.

**მოსკოვი.** პროლეტარიატი აღფრთოვანებით ღებულობს აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებებს. გლეხთა შორის არავითარი ნიშანი კონტრ - რევოლიუციონურ სულიერ განწყობილების არაა სურსათის მიზიდვა სრულიად დაუბრკოლებლივ სწარმოებს. სამხედრო მდგომარეობა უცვლელია. ვიურტემბერგის პროლეტარიატის სულიერი განწყობილება უკიდურესათ რევოლიუციონურია.

**მდგომარეობა ბუდაპეშტში**

მოკავშირეთა წარმომადგენლებმა ვენაში პოლკოვნიკი კუნტი ნგარშის მეთაურობით ბუდაპეშტი მიატოვეს. ბელაკუნმა აღკრძალა უცხოელთა წითელ ჯარში ძალით ჩაწერა. რუმინელები განაგრძობენ უნგრეთის ტერიტორიაზე წინსვლას.

უკრაინის დეპეშათა სააგენტოს ცნობით უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ბუდაპეშტში მივიდა ბოლშევიკების წინააღმდეგ შეთანხმებით მოქმედების შესახებ მოსალაპარაკებლად.

# ქართველ ლიტერატორ-კრიტიკოსთა კომისიის მოქმედება

ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების გამგეობასთან არჩეულ წიგნების გამომცემელ სექციასთან 2 იანვრიდან (1919 წ.) დაარსდა ქართ. ლიტ. კრიტიკოსთა კომისია, რომელშიაც შედიან ი. გომართელი, შ. დედაბრიშვილი, დ. ხოშტარია, ვლ. ბაქრაძე და დ. კასრაძე; ხსენებული კომისია დაარსებიდანვე ყოველ პარასკეობით ჰმართავდა სხდომებს თავის სამოქმედო პროგრამის დასამუშავებლად, თუ პირველ რიგში რადარა წიგნები იყო საჭირო გამოსაცემად. გადასწყდა, უპირველესობა მიეცეს ჯერ ქართულ კლასიკებს და შემდეგ უცხოელებს. იმ კითხვაზე თუ უცხოელ მწერლებიდან რომელი ითარგმნოს პირველ რიგშიო, დ. კასრაძემ ორჯელ ვრცელი მოხსენება წარადგინა, მცირეოდენის შესწორებით მის მიერ წამოყენებული სია მიღებულ იქმნა ვრცლად. როგორც სამერმისო სამოქმედოდ, და შემოკლებით სადღეისო სამოქმედოდ. მოგვყავს შემოკლებული სია.

---

რომ იქ, სადაც სამხედრო ან სახელმწიფოებრივი საქმე თხოულობს საიდუმლოებას, იქ მოსამსახურენი და მუშები შეიძლება დაქირავებულ იქმნან შრომის ბირჟის დაუკითხავათ. თანამედროვე ვაჭრობა-მრეწველობის უდიდესი ძარღვი საიდუმლოებაა და თუ სახელმწიფოსათვის ეს საიდუმლოება საჭიროებას შეადგენს, არა ნაკლებ საჭიროებას შეადგენს იგი კერძო ვაჭრობა-მრეწველობისათვის.

ცოტა რამ გამონაკლისს გარდა (ძიძა, გადია, დარაჯი, ყარაული, მეეზოე) მოსამსახურეებს და მუშებს შრომის ბირჟა თვითონ ნიშნავს ამა თუ იმ დამქირავებელთან და ამ უკანასკნელს არც იმისი ნება აქვს რომ ამოირჩიოს დასაქირავებელი იმ სიიდან, რომელიც შრომის ბირჟაში იქნება (§ 5) ეს წესი იმდენათ მიუღებელია რომ ძნელია იმაზედ ლაპარაკიც.

კანონ-პროექტის შემადგენელთ დაჰვიწყებიათ რომ შრომის ბირჟა, რომელსაც ასეთ დიდ უფლებას ანიჭებენ მოსამსახურეთა და მუშათა მიღების დროს, ყოვლად უპასუხის მგებელო ორგანიზაციაა და მას არ შეუძლია მოსამსახურეთა და მუშათა არც შრომის და არც რაოდენობის გარანტია მისცეს, მას არ აქვს არავითარი შეძლება აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც დამქირავებელს მოუვა ბირჟის მეოხებით, ამგვარ უფლების მიცემა შრომის ბირჟისათვის სასურველი და ყველასათვის გასაგები იქნება, რომ ბირჟას იმგვარივე მოვალეობა ქონდეს, როგორიც აქვს საზოგადოთ არტელებს.

შრომის ბირჟის მომავალ მოქმედებასა და უნარზეა დამოკიდებული. თუ რამდენად დაიმსახურებს იგი დამქირავებელთ ნდობას და როცა ეს ნდობა დამსახურებული იქნება, ბირჟის რეკომენდაცია თავის-თავად გახდება უმთავრეს ორგანოდ დაქირავების დროს.

ეხლა კი დაქირავება მოსამსახურეების ან მუშების მხოლოდ დამქირავებლის ნება-ყოფლობაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

თუ მიღების დროს დამქირავებლის უფლება ზოგიერთ მცირე შემთხვევებშიდ მაინც აღიარებულია, დათხოვნის დროს კი მისი მდგომარეობა ყოველთვის და ყოველგან ერთი გვარათაა შებორკილი (§ § 8 და 85) არავითარ გამონაკლისი არ არის არც მოსამსახურეთა და მუშათა კატეგორიებს შორის და არც მათი სამსახურის ვადის გამო, ადმინისტრატორი, კონტროლიორი, გამგე, პირადი მდივანი. ისეთივე წესით უნდა იყვნენ დათხოვნილნი, როგორც სხვა მოსამსახურე და მუშა. დიდი ხნის მოსამსახურე და მუშა იმგვარივე წესით და რიგით, როგორც ახლად მიღებული მოსამსახურე ან მუშა. მართალია მეშვიდე და მერვე მუხლები ამბობენ რომ თუ ახლად დაქირავებული თავის ცოდნით და ნიჭით არ გამოდგა ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო, მისი დათხოვნა შეიძლება მუშისა ექვსი დღის განმავლობაში და მოსამსახურესი ორი კვირის განმავლობაში, მაგრამ შემდეგი მეცხრე მუხლი ამბობს რომ, თუ დაქირავებული არ დაყაბულდა დათხოვნაზე, მას ნება აქვს განასაჩივროს იმ წესით და იმ შედეგებით, რომელიც აღნიშნულია მე 85 მუხლში ე. ი., როგორც შეუძლიათ განასაჩივრონ დათხოვნა მოსამსახურეებმა, რომელთაც ორი კვირაზე მეტი უმსახურნიათ და მუშებმა, რომელთაც უმუშავნიათ ექვსი დღეზე მეტი. ისე რომ სპეციფიკაცია მოსამსახურეებისა და მუშებისა, რომელიც მოყვანილია მეშვიდე და მერვე მუხლებში სრულიად უშედეგოა და მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

უცდინარობისა და უნიჭობის გარდა მოსამსახურე და მუშა შესაძლებელია დათხოვნილი იქნას სიზარმაცის, დაუდევრობის და ხშირათ ისეთ არა სასურველ მოქმედებისათვის, რომელსაც კრიმინალური ხასიათი არ აქვს ან და აქვს, მაგრამ მისი დამტკიცება არ შეიძლება. თუ ამგვარ მოსამსახურის და მუშების დათხოვნას უფლება პირველ ხანებშივე არ ექნა დამქირავებელს, ჩვენ მას სრულიად წავართმევთ საქმის ინიციატივას და ხელმძღვანელობას.

ახლად დაქირავებული მოსამსახურისა და მუშის დათხოვნა უთუოდ დამქირავებელის ნებაყოფლობაზე უნდა იყოს და არავითარი გასაჩივრება მის გადაწყვეტილებისა არ უნდა იყო დაკანონებული. კანონი საზოგადო მოვლენებისათვის იწერება და რასაკვირველია ათასში ერთი არ გამოჩნდება ისეთი დამქირავებელი რომ მან აიყვანოს მოსამსახურე და მუშა და პირველ ორი კვირის ანუ ექვსი დღის განმავლობაში იგი უბრალო ჟინიანობის გამო დაითხოვოს.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ კანონპროექტი აღიარებს ნარდად მუშაობის პრინციპს, მაგრამ ეს პრინციპი იმგვარ პირობებითაა შებოჭილი, რომ სრულიად აქარწყლებენ მის ცხოვრებაში გატარებას. თუ ნარდათ დაქირავებულის უნებურად მას ნაკლები გასამრჯელოთ ერგება, ვიდრე მას ერგებოდა ვადით დაქირავებული რომ ყოფილიყო, მას უფლება აქვს მოითხოვოს იმდენი გასამრჯელო, რამდენიც მას ერგებოდა, ნარდათ კი არა ვადით რომ ყოფილიყო დაქირავებული. ამ დებულებას იმ შემთხვევაშიდაც აქვს ძალა, როცა დაქირავებულს არ შეეძლო გაეთავებინა ნარდათ აღებული საქმე (§ 63) ცხადია, ამ კანონის მიხედვით პრივილეგია ეძლევა ზარმაც და უვიც დაქირავებულს, რადგან მას უფლება აქვს თუ ნარდათ აღებულ საქმეში მეტი გასამრჯელო ვადის რაოდენობით ყოველ შემთხვევაში მაინც მიიღოს, თუ ნარდათ საქმის აღება მართლა სასურველია, მაშინ დაქირავებული ვალდებული უნდა იყოს ეს საქმე შეასრულოს და თუ რაიმე გარეშე მოულოდნელი მიზეზის გამო ეს არ მოხერხდა, მას უფლება უნდა ექნეს მიიღოს მხოლოდ ის გასამრჯელო, რომელიც მას მოუწევს ასრულებული მუშაობის რაოდენობის მიხედვით. გარეშე ამ დებულებისა ნარდათ საქმის აღებას მნიშვნელობა ეკარგება.

კანონ-პროექტში სრულიად არ არის ცალკე სასჯელი, იმ მოსამსახურე ან მუშებისათვის რომელნიც რაიმე დანაშაულობას ჩაიდენენ დამქირავებლისა ან საქმის წინაშე. უდიდესი სასჯელი ეს მათი დათხოვნაა (78) მაგიერათ დამქირავებელი ისჯება ყოველი მუხლის დარღვევის გამო. ჩვენის გამოანგარიშებით ამგვარ სასჯელი დანიშნულია ოც შემთხვევაში (§ 90, 91, 93, 94.) უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ 1) კანონ-პროექტით სასჯელი მათ ენიშნება გარდა იმ სასჯელისა, რომელიც დაკანონებულია საზოგადოთ სისხლის სამართლის კანონებში (89) 2) დამქირავებელი ან პასუხისმგებელი გამგე იჯარიმება ან ისჯება პირადათ, როცა დანაშაული ჩადენილთა არა მის მიერ, არამედ სხვა მოსამსახურე პირისაგან, რომლის არც მიღება და არც დათხოვნა მის ხელთ არ არის, 4) პირადი პასუხის მგებლობა დანაშაულისათვის ეკისრება როგორც საქმის მეპატრონეს, ისე დანაშაულ გამგეს (18), ცხადია რომ, თუ ეს კანონ-პროექტი სრულიად დარჩა და იგი ძირიანად არ გადაისინჯა და შეიცვალა, ვერც ერთი საქმე ვერ იხეირებს და ვერც ერთ საქმისათვის რიგიან პასუხის მგებელ გამგეს ვერ იშოვიან, იქნებიან მხოლოდ ფიქტიური გამგენი, როგორც იყვნენ ძველი რეჟიმის დროს უცხო დაწესებულებათა გამგენი. საჭიროა ზოგიერთი სასჯელი სრულიად გამოირიცხოს, რადგან ან იქ აღნიშნული დანაშაული სისხლის სამართლის კანონებით ისჯებია, ან იქ აღნიშნული მოქმედება ან უმოქმედება არ შეიძლება აღინიშნოს დანაშაულათ. ზოგიერთი შემთხვევაში დანაშაული უნდა დაეკისროს იმ მოსამსახურეს ან მუშას, რომელიც პირადათ ან დანაშაულს ჩაიდენს და არ დამქირავებელს ანუ გამგეს.

სრულიად სამართლიანია დამქირავებელის ან პასუხისმგებელ პირის დაჯარიმება თუ იგი წერილობით ცნობას მიაწოდებს ვინმეს ან საანგარიშო წიგნაკში ჩააწერინებს რაიმე ისეთ ცნობას, რომელიც ახასიათებს მოსამსახურე ან მუშას ცუდის მხრით. მაგრამ მიუღებელია დასჯის დაკანონება სიტყვიერ გადაცემისათვის. ფაქტიურად ამ გვარი გადაცემის მოსპობა ყოვლად შეუძლებელია, ისე კი მუდმივ უთანხმოებას გამოიწვევს.

დამქირავებლის დასჯა ამგვარ ცნობებით სარგებლობისათვის მიზან შეწონილი არ არის და საქმისათვის მავნებელია, რადგან დამქირავებელს შეუძლებელია წაერთვას უფლება ისარგებლოს ყოველგვარი მისთვის საჭირო ცნობებით.

თანამედროვე პირობებში ყოვლად შეუძლებელია დასჯა დამქირავებლის, როცა იგი დროზე ვერ იხდის სამუშაო ფულს. დასჯა მხოლოდ მაშინ შეეძლება, თუ მას არ მიუღია ყოველი ზომა ფულის ხაზინიდან ან ბანკიდან ასაღებათ.

ადმინისტრატორის და პასუხისმგებელი გამგის დათხოვნა მონამსახურის ან მუშის სიტყვით შეურაცყოფისათვის თუ ამგვარი შეურაცხობა სისტემატიურათ არ ხდება, მეტათ სასტიკი ზომაა.

მოსამსახურეთა და მუშათა სიების საანგარიშო წიგნაკების უწესო წარმოებისათვის დასჯა ან დაჯარიმება საჭიროა, მაგრამ არა გამგესი არამედ იმ მოსამსახურისა, რომელსაც ეს საქმე აბარია. გამგესი მხოლოდ იმდენათ რამდენათ იგი ამ საქმეში დაუდევრობას და უყურადღებობას იჩენს. საქმის მეპატრონის დასჯა კი ყოველ სიმართლეს მოკლებულაა.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, სადაც დასჯა საჭიროა შეუძლებელია ისეთი სასტიკი სასჯელი იყოს დაკანონებული, როგორც კანონ პროექტში.

როგორც ვხედავთ, კანონ პროექტს რამოდენიმე დეკლარატიულ ღირსებასთან ერთად ბევრი ნაკლულოვანება აქვს. ეს ნაკლულოვანება იმდენი და ისეთია, რომ კანონი სარგებლობის მაგიერ ზარალს მოიტანს, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს კანონ პროექტი ძირიანათ უნდა გადაისინჯოს, რომ ყოველი მისი მუხლი შეუფარდეს იმ დედა აზრს, რომელიც ჩვენ ამ მოხსენების თავში გამოვსთქვით. მხოლოდ ამგვარად შეცვლისა და შესწორების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი კანონი შეუწყობს ხელს ჩვენს რესპუბლიკაში შრომის გაძლიერებას და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას.

**იასონ ლორთქიფანიძე.**

1919 წ. 25 აპრილი.

**ფრანგული ენით**

1) მოლიერი: დონჟუანი; მიზანტროპი; ტარტიუფი; ეჭვით ავადმყოფი; სკაპენის ცუღლუტობა; ქმართა სკოლა; ცოლთა სკოლა და სხვ.

2) ჰიუგო. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

3) ვერჰარნი, მოპასანი, ფლობერი, მირბო, ფრანსი, მეტერლინკი.

**გერმანული**

1) გიოთე: ფაუსტი, ვერტერი.

2) შილლერი: ყაჩაღები, ორლეანელი ქალი, ვერაგობა და სიყვარული, დონ კარლოსი, ვილჰელმტელი, მარიამ სტუარტი და სხვ.

3) ძმები გრიმები (ზღაპრები

4) ჰოფმანი (

5) ნიცშე: ასე იტყოდა ზარათუსტრა.

6) ჰაუპტმან: როზაბერნდ, ჰანელე, ფეიქრები, დაძირული ზარი, ავადმყოფი ხალხი და სხვ.

7) ზუდერმან: მამა, ქვა-ქვის-ქვეშ და სხვ.

8) შნიცლერ: ბეატრიჩეს სამოსელი.

**ინგლისურით**

1) დანიელ დეფო: რობიზონ კრუზოე.

2) ჩ. დიკენს: დავით კოპერფილდ.

3) ბიჩერ სტოუ: ძია თომის ქოხი.

4) ოსკარ უაილდი: ზღაპრები, დორიან გრეის სურათი.

5) შექსპირი: ი. მაჩაბლის ნათარგმნები.

**სკანდინაველებიდან**

1) იბსენი: ხალხის მტერი, მოჩვენებანი, ნორა და სხვ.

2) კნუტ ჰამსუნი: პანი, ვიქტორია.

3) ანდერსენი: ზღაპრები.

**პოლონური**

სენკევიჩი: ქვო ვადის?—

ამავე კომისიამ შეიმუშავა ნორმა ავტორთა დაჯილდოვებისა. მცირეოდენის შესწორებით მიღებულ იქმნა თ. კიკვაძის მოხსენების შემდეგი საფუძველი:

1) თარგმანი რუსულით inquarto ორგინალისა:

ა) პროზა 16 გვ. 200 მან.

ბ) პოეზია 16 გვ. 300 მან.

2) თარგმანი ევროპიული ენებით:

ა) პროზა 16 გვ. 300 მან.

ბ) პოეზია 16 გვ. 450 მან.

3) ორგინ. ნაწარმოებნი:

ა) პირველ ხარისხოვანი ნაწარმ. 16 გვ. 450 მან.

ბ) მეორე ხარისხოვანი ნაწარმ. 16 გვ. 300 მან.

კომისია პრაქტიკულად უკვე შეუდგა გეგმის განხორციელებას. იგი მხოლოდ შეუდგა როგორც ჩვენი კლასიკების მოკრებას, ისე უცხოელ ნათარმნ კლასიკების მოკრება-შესწორებას.

დ. კასრაძემ კომისიის დავალებით უკვე სთარგმნა მეტერლინკის თეატრის პირველი ტომი, რომელშიაც შედიან შემდეგი პიესები: ა) პრინცესა მალენი, ბ) დაუპატიჟებელი და გ) ბრმები.

შთარგმნელი განაგრძობს დანარჩენ ტომთა თარგმნას.

X.

## მგოსანი მეფე დავითი და მისი დაი მაკრინე

ირაკლი 1-ლის შვილები იყვნენ.

ეს ირაკლი იყო ძე თეიმურაზ 1-ის ძის დათუნასი, რომელიც მალაროს ბრძოლაში დაიღუპა 1648 წ. ქართლ-კახეთში ბატონობა იწყო მეფე როსტომმა. დათუნას ქვრივი ელენე, ევდემოზ კათალიკოზის ძმის ლევან დიასამიძის ასული, დიდ გასაჭირში ჩავარდა. იგი თავის შვიდი წლის შვილით ერეკლეთი გადიხვეწა რუსეთს. იქიდგან ეკირთებოდა კახეთს, სადაც უკვე მეფობდა მის დის ქეთევანის ქმარი არჩილი (ისტორიკოსი). ბოლოს წავიდა სპარსეთს, სჯული გამოიცვალა და მეფედ მოვიდა 1688 წელს. ჯერ ისევ სპარსეთში იყო, რომ ცოლათ შეირთო ჩოლაყაშვილის ასული ანა. მისგან ეყოლა შვილები: დავით (იმამყულიხანი), კოსტანტინე (მაჰმად-ყულიხანი), თეიმურაზი (ერეკლე მეორის მამა), ქეთევანი (მისთხოვდა ქიზიყის მოურავს აბელ ანდრონიკაშვილს), მარიამი (მაკრინე), ელენე (ჯანბანუმ-ბეგუმი—ელისაბედი, ანტონი 1-ლის დედა), ბეგუმ (იესე მეფის ძის აბდულაბეგის მეუღლე), დემეტრე ისლა-მირზა, რიზა-ყული-მირზა და მუსტაფა მირზა.

ელისაბედი ცოლად ჰყავნდა იესე მეფეს. მისი შვილი ანტონი 1-ლი თავის დედას უძღვნის ამ ტაეპს:

„ამან იმორჩა ძირისაგან დავითის და მასვე ძირსა დაემყნა ზესთ განგებით: მეფისაგანი მეფესა შეერთა და გვირგვინითი მივიდა გვირგვინადვე“.

ელენეს ძვირფასად შემკულს ჯვარს (ეკუთვნის საეკლ. მუზეუმს) აწერია:

„ჩ ჯვარო პატიოსანო ძელო ცხოვრებისა მომცემელო სამგზის სანატრელო, მცველ და მფარველ შექმენ შემამკობელსა შენსა მეფის ჰერეკლეს ასულსა ელენეს. ქნსა ტჲბ“ (1704 წელს).

მარიამი მისთხოვდა თავის მამის სახლთხუცესს ედიშერ ჩოლაყაშვილს. იყო ღვთისნიერი, კეთილი, განათლებული, ქართულის მშვენიერი მცოდნე და მწერალი, მესტიქარონე. ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი შესდგა ბერად, იწოდა მაკრინედ, დაბინავდა ალავერდში და ხელი მიჰყო სამწერლო საქმეს. მისგან დარჩენილია სამი დიდი წიგნი-ხელნაწერი (№ ები 366, 379, 380); კიდევ დაწერილი ჰქონია ა) მიმართვა კახელებისადმი სარწმუნოების მტკიცედ დაცვის შესახებ და ბ) მის დროის ისტორიული ნაწყვეტები. ეს უკანასკნელი თხზულებები ხელში ჰქონია პლ. იოსელიანს და ახლა აღარ ჩანან.

ხსენებულ ხელნაწერების გადამწერლებად ყოფილან ხელოვანი დიმიტრი მგალობლიშვილი და ზაქარია ჰალაძვილი. პირველი წიგნის დასრულებისას (1716 წ.) მარიამი ჯერ არ ყოფილა დაქვრივებული და მესამის დაწერისას კი (1716) უკვე იხსენიება მაკრინე მარიამ ყოფილიად. № 366, გვ. 153: „...ბრძანებითა ამბავი ალავერდელის ნიკოლოზისათა და წარსაგებელითა საფასეთავითა ძმისწულისა მისისა ჩოლაყაშვილის სახლთხუცის ედიშერისა და თინამეცხრედისა მისის კახის ბატონის ასულის მარიამისითა დაიწერა წიგნი ესე სრული საწელიწადო ჯ̃ნსა უბ“ (1714 წ.) № 379, ბოლოში: „...დაიწერა წიგნი ესე სრული საწელიწადო ბრძანებითა ამბავი ალავერდედის ნიკოლოზისათა და წარსაგებელითა საფასისათა ბატონიშვილის მარიამ ყოფილის მაკრინესაჲა (საუკუნომცა არს ხსენება მისი), ჯ̃ნსა უდ“ (1616 წ.).

№ 366, ფ. 1: მთავაროა და მოწამეთა შორის მხნეო ღვაწლისა მძლეო გიორგი მწერელი ასომთავრულისა ამის ბატონიშვილი მარიამ მოიხსენე წინაშე ღვთისა, რომელი დავშვერ თვით ხელითა ჩემითა ამით. № 380, ფ. 49: „წმ. გიორგი, შემიწყალე მშრომელი ამის ბატონისშვილი მარიამ მაკრინად ხმობილი“.

მაკრინეს საკუთარ კალმის ნაწარმოები იოსებ ალავერდელის საგალობლები შეტანილია დიდს კრებულში (№ 387, 15 სეკტ.).

„ამასვე დღესა (15 სეკდ.) ვგალობთ.

„ჲჰა სულისა ებანო და ქნარო სიტყვისა დაუსაბამოსაო და ღმრთისა მამისა საყვირო ხმამაღლად მხფობარეო, რომელმან ზღუა წიაღვლე ფერხითა შუჰნიერითა და მოიწიე ქვეყანასა ამას საქართულოსა და იქუხენ ხმა-შუნიერად სახარებისა სიტყუანი და მოაქციენ წარმართთა ერნი და მოინადირენ მოძღურებათა ბადითა, ვითარცა წმიდათა მოციქულთა, სანახებე ესე ჩრდილოისა და განაახლე და განამტკიცე ნინას მიერ ქადაგსბული.

...მოიწიენით-რა (ქვეყანასა ამას), მოჰხნენით გულნი დაკორდებულნი და დასთესეთ თესლი ღმრთის-მსახურებისა... სამკაულო ქუყანისა კახეთისაო და განმანათლებელო დაბისა ალავერდისაო“...

მაკრინე გარდაიცვალა 1732 წელს. სიკვდილის წინად მან გადასწერა მეორე ნახევარი თავის ძმის დავით მეფის საყურადღებო ძეგლი.

ეს დავითი გამეფდა კახეთში 1703 წელს, ხოლო ხსენებული ძეგლი მიუბოძა ღვთაებას 1722 წელს. მას ჰქვიან გუჯარი, მაგრამ იგი უფრო წიგნია, შეიცავს 42 გვერდს დიდის ზომისას და უკვე დაბეჭდილია ს. კაკაბაძის მიერ.

გუჯრის დედანი შეუთხზავს თვით დავითს, მისი პირველი ნახევარი თითონვე გადუწერია, მერე, დაუძლურებისა გამო, მეორე ნახევრის გადაწერა დაუვალებია თავის დის მაკრინესთვის და მასაც შეუსრულებია ძმის თხოვნა. ენა ძეგლისა დიდ-შვენიერია, გამოთქმა რიტორებრი, ფილოსოფიური. გაკვირვებას ეძლევა კაცი, მაშინდელ არეულობა ამბოხებათა დროს სად და როგორ შეისწავლა ამ გამაჰმადიანებულ დავით—იმამყულიხანმა წმინდა ქართული ენა. ქართლის ცხოვრება მის შესახებ ამბობს: „არა-რათ სწამდა ქრისტიანეთა, არამედ წიგნი და ენანი ქართულ-სპარსულნი უწყოდა წარჩინებულად“.

იგი დაიბადა სპარსეთში 1648 წ. და იქვე აღიზარდა მაჰმადიანად. ცოლად ჰყავნდა ფახრი-ჯაჰან-ბეგუმი ასული ერევანი ბეგლარ-ბეგის ჩუხურიზადისი. ცოლ ქმარი ორთავე აღიზარდა ყაენს ჰუსეინს.

დავითის შვილი მაჰმად-მირზა (ლეონი) დაიღუპა თოფალ-ფაშასთან ბრძოლაში, ხოლო მეორე ვაჟი ალექსანდრე (ალი-მირზა) ერთხანს ჰმართავდა თბილისს და მერე კახეთს (1736 წ.).

მ. ჯანაშვილი.

(დასასრული იქნება).

## მკითხველთან საუბარი

XV.

(დასასრული).

საბედნიეროდ მე შემხვდა სწავლა მოსკოვში იმდროს, როდესაც იქ საექიმო ფაკულტეტზე საუკეთესო ძალებს მოეყარა თავი. ფაკულტეტს ამშვენებდნენ: ევროპაში სახელგანთქმული გისტოლოგი ბაბუხინი, რომელიც დიდებული ორატორიც იყო, სკლიფასოვსკი, ზახარინი და სხვები. მაგრამ ქიმიკი საბანეევი უფრო კარგი მეთევზედ იყო ცნობილი, ვიდრე ღირსეული პროფესორად. კოლბეს არაორგანული ქიმია ძალზე გაიზეპირებინა და ისე ჰკითხულობდა პერიოდიულ სისტემის ახსნისას შემქნელს ამ სისტემისას მენდელეევს განზრახ არ იხსენიებდა. ჩვენ სტუდენტებმა კარგათ ვიცოდით მისი ამბავი და ეს არ გვიკვირდა. მენდელეევმა საბანეევი პროფესორობის ღირსად არ სცნო, იმავე დროს გვყავდა ფიზიოლოგიის პროფესორი შერემეტიევსკი. გაზეპირებული ჰქონდა მას ბონი, ლანდუა, ფოსტერი და მათ თხუზულებებს პროფესორი აუდიტორიაში დიდ გაჭირვებით დაათრევდა. ცნობილი ფიზიოლოგი სეჩენევი, რომლის ღირსი შევიქენით მხოლოდ შერმეტევსკის გადაცვალების შემდეგ, ამბობს თავის ავტობიოგრაფიაში, რომ ფიზიოლოგია მოსკოვის უნივერსიტეტში დიდხან იყო უპატივცემულოდ“ ხშირად ცოდნაც არ არის საპროფესორო კაცისათვის საკმარისი თუნდ ჩვენს პირობებში ჩვენს მედიცინის დოქტორს საკმარისი ცოდნაც საიდან ექნებათ.

აი კიდევ ამისთვის მეინტერესება საზოგადოთ ჩვენი უნივერსიტეტი და კერძოდ საექიმო ფაკულტეტი. მე მინდა რომ საექიმო ფაკულტეტი იყვეს მრავალ რიცხოვან სტუდენტებით სავსე და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ჩვენ კარგი ძალები გვეყოლება. საიდან ვიშოვოთ ეს ძალები, ძებნა უნდა და ამავე დროს პიროვნიული არჩევაც. თუ ჩვენები არ გამოჩნდებიან, უცხოელიც რომ მივიწვიოთ ამით საქმე არ გაგვიფუჭდება. ცნობილი ანატომი გრუბერი, რომელიც პეტერბურგში სამხედრო საექიმო აკადემიაში პროფესორობდა, რუსულად თითქმის არც ლაპარაკობდა, ხშირად ლათინურად ჰკითხავდა და უხსნიდა სტუდენტებს და სტუდენტები მშვენივრად ითვისებდნენ ანატომიას, ამავე დროს იგივე გრუბერი კვალ-დაკვალ მისდევდა დარვინის დებულების გამოქვეყნებას, რომლებსაც თვისი ანატომიური გამოკვლევებით გრუბერი ადასტურებდა, რის გამო სტუდენტები ხალისით იყვენ ჩაბმული ანატომიის მრავალ-მხრივ შესწავლაში.

ზოგი ამას უხერხულად დაინახავს, რადგან უცხოელს ქართულ ენაზე ლექციების წაკითხვა არ ეხერხება, მაგრამ ამით არ დაშავდება რა. ჩვენი ღრმა რწმენის დროა, რომ ჩვენმა ახალგაზდობამ ზედ მიწევნით შეისწავლოს ორი ევროპიული ენა მაინც. რამდენად გვაშორებს ჩვენ ევროპასთან ევროპიული ენების უცოდინარობა, ამაში ხომ საკმარისად დავრწმუნდით ევროპიულ ენების ცოდნას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ალებ-მიცემობას, განათლების საქმეში. ეს ხომ ცხადზე უცხადესია. შეიძლება ჩემი შენიშვნა ვინმეს არ მოეწონოს, ზოგი რამ უხერხულად დაინახოს, მაგრამ მე ასე მალაპარაკებს მხურვალე სიყვარული იმ დაწესებულებისა, რომელიც ესოდენ საოცნებო იყო ჩვენთვის. მე მსურს ჩვენი უნივერსიტეტი იყვეს ნამდვილი მნათობი, გამამხნევებელი სამშობლოსი, რომელსაც არც წარსულში, არც დღეს მტრების მეტი არა ჰყოლია რა მით უფრო სასურველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ნამდვილი ტაძარი შეიქმნეს მეცნიერების და ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როდესაც მისი პროფესორების შემადგენლობა ღირსეული იქმნება.

ე. ვაშაკიძე.

## კორესპონდენცია

### მიტოვებული კუთხე.

ჯერ კიდევ იმედით სცხოვრობენ ზაქათლის ოლქის მკვიდრნი. სწამთ გულის სიღრმემდე, რომ მხსნელი ადრე, თუ გვიან მაინც მოვა და გაუნათებს ცხოვრებას გატანჯულ ხალხს. მტრებიც თითქოს ჰგრძნობენ ალსასრულის მოახლოვებას: მათ აღელვებასა და სასოწარკვეთილებას საზღვარი არ უჩანს. ერთი მუჭა გაფანატიკოსებული მოსყიდული აგენტები ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ ოლქის მდგომარეობა ნორმალურად მოაჩვენონ, და ხალხის უმრავლესობის აშკარა ღალადის სრული გადასხვაფერება მოახდინონ.

ოლქი სავსეა ნაძირალებითა დაჯაშუშებით, რომელნიც სარგებლობენ გარდამავალ ხანის უკულმართობით და ხალხს ტყავს აძრობენ.

ტერორით დამბლა დაცემულია საცოდავი ხალხი; არ არი არავითარი საშუალება ხალხის სურვილისა და განწყობილების გამოაშკარავებისა. ხოლო უზურპატორები ხშირად ყბა-შეკრულ ხალხის სახელით უქვეშევრდომილეს გრძნობებს და სამარადისო ლოიალობას ალუთქვამენ ბაქოს მთავრობას.

ხოლო მცხოვრებთა დიდი უმეტესობის ზრახვანი აზერბაიჯანის საწინააღმდეგოთ ნათლად არის გამოსახული! ზაქათლის ოლქის აზერბაიჯანთან სახელმწიფოებრივად დაკავშირება, საქართველოს უძველეს კუთხეში აზერბაიჯანის სუვერენიტეტის გადმოტანა ისეთი ხელოვნურად მოწყობილი, ყოვლად შეუსაბამო და უაზრო აქტი იქნება, რომელსაც პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება და რომელსაც ცხოვრების მიმდინარეობაც ვერ შეითვისებს და ვერც გაამართლებს თვისი დასტურით.

შეწუხებული ხალხი დარწმუნდა საბოლოოდ, რომ თბილისს ჩამოშორება სულ ერთიანად დააქვეითებს ოლქში ძველად გაჩაღებულ ალებ-მიცემობას და მთლად დასცემს მის აყვავებულ მეურნეობას. ერთი წლის მაგალითი საკამო საბუთია ზაქათლის ოლქის მცხოვრებთა დასკვნისა. თბილისთან წესიერ კავშირისა და დამოკიდებულების შეწყვეტის გამო ოლქმა უზომოდ იზარალა და საქართველომაც; რასაკვირველია, იგრძნო მდიდარი კუთხის ჩამოჭრის შედეგი...

დღევანდელი ყოფაცხოვრება ზაქათლის ოლქისა მეტად სამწუხაროა ყოველმხრივ: პოლიტიკურ გამოურკვევლობისა და ეკონომიურ დაქვეითების გარდა, ოლქმა ამ ხნის განმავლობაში განიცადა მრავალი შეწუხება: ეპიდემიურ ავადმყოფობას დასასრული არ უჩანს! სხვა და სხვა ავი სენი მუსრს ავლებს ხალხს. აზერბაიჯანის აგენტებს მცხოვრებთა კეთილდღეობა ხომ არ აინტერესებს; მდიდარი ოლქი სწორედ რომ საწველ ფურად აქციეს ბაქოს მთავრობის მოსამსახურეებმა! არც საექიმო დახმარება და არც წამლები... თუ ისევ თბილისის მხრიდან ზოგჯერ მოგვაწოდეს საჭირო მედიკამენტები, თორემ აზერბაიჯანელები ამგვარ ზრუნვით თავს არ იტკივებენ.

საზოგადოთ აზერბაიჯანის გამგებლობას ისეთი ხასიათი აქვს, თითქოს ოლქი დროებით დაპყრობილი მტრის ადგილი იყოს, საიდანაც რაც გასატანი და სასარგებლოა დროზე უნდა გავიდეს, რომ კანონიერმა პატრონმა არ მოუსწროს მტაცებლებს. ტრანსპორტები სანოვაგით დაუმთავრებლად მიდის ნუხ-ევლახის მიმართულებით ბაქოსკენ და მის ნაცვლად კი ოლქს არაფერი უბრუნდება.

აქაური მთავრობა ნებას არ აძლევს საქონლის თბილისისკენ გატანისას, მაგრამ ხალხს ამა თუ იმ სახითა და საშუალებით ეკონომიური კავშირი მაინც საქართველოსთან აქვს, რადგანაც მიუხედავათ სასტიკი ზომებისა და დიდ გადასახადისა, თბილისთან ეკონომიური კავშირი მაინც ხელსაყრელია, ვიდრე დაშორებულ აზერბაიჯანთან.

ამ ბოლო დროს ოლქის „გამგებლებს“ არაჩვეულებრივი აღელვება ეცნევათ. ხალხის განწყობილება შესამჩნევად შეიცვალა და საქართველოსადმი თანაგრძნობა და სიყვარული დღითიდღე იზრდება და ღვივდება ხალხის შეგნებაში.

ალბად, შეიტყობდით, რომ ამ საშიოდე კვირის წინად საინგილოში რამდენიმე ქართველი ოფიცერი მოვიდა არ ვიცი სანადიროდ, თუ საქეიფოდ. ამ ამბავმა შიშის ზარი დასცა აქაურ ადმინისტრატორებს ქართველი მხედრების გამოჩენა ოლქში და ისევ იარაღით და მხლებლებით პირდაპირ სენსაციური მოვლენა იყო და აზერბაიჯანის თავზარდაცემულ აგენტებს კიდეც ელანდებოდათ მომავალ ლაშქრის ყიჟინი! ოლქიდან დეპეშა აფრინეს ბაქოში: საეჭვო მისია მოქმედებს ზაქათლის ოლქში და ითხოვდნენ მაშველ ჯარის გამოგზავნას კუთხის დასახსნელად. არ ვიცი რა მოისაზრეს ბაქოში, მაგრამ ქართველი ოფიცრები არხეინად დასეირნობდნენ ოლქში მცხოვრებთა დახმარებითა და თანაგრძნობით გამხნევებულნი. შეშინებულ ადმინისტრატორებმა ბოლოს შეიგნეს „მისიის“ ნამდვილი დანიშნულება და შერცხვენილებმა ხმა ჩაიკმინდეს..

ზაქათლის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობამ კარგათ იცის, რომ აზერბაიჯანის ხელმწიფობას მალე ბოლო მოეღება. ყველანი ელიან „გურჯების“ მოსვლას... ელიან სულგანაბულნი და იმედგაწყვეტილნი... რად იგვიანებენ ქართველებო გვეკითხებიან გლეხები? ნუთუ დარწმუნებულნი არ არიან ჩვენში? ნუთუ საბოლოოდ ამ ხალხს უნდა მიგვანებონ?..

სამწუხაროდ, საქათალის ოლქთან მომიჯნავე ზოგიერთი ქართველი ადმინისტრატორები თავისი უმსგავსი მოქმედებით ჩვენ ხალხს გულს უცრუებენ საქართველოზე.

ლაგოდეხის რაიონში „მოღვაწეობდა“ ვინმე კომისარი გარსევან ალადაშვილი, რომელმაც მოსაზღვრე მცხოვრებნი უზომოთ შეაწუხა. ის უფრო ყაჩაღობის [illegible] ნაძირალების მეთაური იყო, ვიდრე წესიერობის დამცველი.

ხალხის განრისხება იქამდის მივიდა, რომ წრეს გადასული ადმინისტრატორი წუთისოფელს გამოაცალეს.

სასურველია, რომ საქართველოს მთავრობა ჩვენს მახლობლად რიგიან ადამიანებს ანდობდეს პასუხსაგებელ თანამდეობას. ურიგი მოხელე ხშირად მთელ სახელმწიფოს სახელს უტეხს. ჯერ არ შევერთებულვართ საქართველოსთან და მისი მოხელენი ასე უდიერათ გვეპყრობიან, რაღა იქნება მაშინ, როდესაც ასეთი მოხელენი სავსებით დაგვეპატრონებიან, გაიძახიან განცვიფრებული მცხოვრებნი?..

კეჭნელი.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა** იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 სათზე და 50 წუთზე.

საგარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საგარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წყნორის-წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან-გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)

## ჩვენი ფოსტა

**ჩვენს თანამშრ.-კორესპონდენტებს.**

საგაზეთო მასალა დაწერილი უნდა იყოს სუფთად, გარკვეულად და მხოლოდ ერთ გვერდზე.

წერილში უსათუოდ უნდა აღინიშნოს ავტორის ვინაობა, და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ჩაითვლება. საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია მის შესახებ არავითარ მიწერმოწერას არ ჰკისრულობს.

რედაქცია.

ექიმი

**ა. მ. პაატაშვილი**

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის

**ჰიჯიღიანცი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—47

სტამბა „კავშირისა“, გაზეთის შესახვევი № 4.